

სახელი : თამარი

გვარი : თომასიანი

ასაკი : 15 წელი

სკოლის დასახელება : თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის N1 საჯარო სკოლა

გამარჯობა ჩემო ევროპელო მეგობარო , მე საქართველოდან ვარ , ეროვნებით ქართველი, პატარა ქვეყნიდან მაგრამ თუ მესტუმრები აუცილებლად მოგეწონება,თავისი პ რელიეფით , ხალხითა და ისტორიით.

აღბათ , გაინტერესებს როგორ ვცხოვრობთ,როგორი წარსული გვაქვს და როგორი მომავალი გვინდა გვქონდეს . მე თავისუფალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში დავიბადე ,როცა გავიზარდე და ჩემი ქვეყნის ისტორიას გავეცანი ასეთი სურათი დავხატე:ლამაზი მთაგორიანი ადგილები,დაბლობი ,ზღვა და მდინარეები.ჩემი ქვეყნის კუთხეები ფერად-ფერადი ყვავილებით , უნიკალური ცხოველებითა და ისტორიული ძეგლებით. როდესაც აფხაზეთი და სამაჩაბლო მოვიკითხე ისინი ჩემს ნახატში აღარ იყო , გამქარლიყო .როგორც ჩემი ბებია და ბაბუა იხსენებს აფხაზეთი და სამაჩაბლო პირველი ფესვებია და ყველა დროში ზღაპრულად გამოიყურებოდა , იგი ტურისტებისთვის საოცარი სანახაობა იყო თავისი ცისფერი ტბებით,გარშემორტყმული მწვანე მთებით,მიწისქვეშა გამოქვაბულებითა და შეუდარებელი სანაპიროებით . დარწმუნებული ვარ ჩვენ ერთად ვნახავთ მას და დავიბრუნებთ იმ სილამაზე ს, რომელსაც „მსოფლიო საოცრება” შეიძლება ვუწოდოთ.საქართველოს ისტორიაც აქედან მინდა დავიწყო თავისუფალი , დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ჩემი ქვეყნის ორი ულამაზესი კუთხე ოკუპირებული აღმოჩნდა და დღეს ისინი რუსეთის მფარველობაშია.

ისტორიის გზები თითქოს ამერია , მაგრამ მაინც შევძელი გამეგო როგორი იყო იგი ჩემი ქვეყნისთვის და რა უნდა იცოდეს მსოფლიო ხალხებმა .მათ შორის შენც,ჩემო უცნობო მეგობარო.ჩემი სამშობლო, საქართველო,უდიდესი წარს ულის,ისტორიის მქონე ქვეყანაა, რა არ გადახდენია ჩემს პატარა სამშობლოს თავს,როგორი მტერი არ შემოგვსევია,რა ვაი-ვაგლახი გადაგვიტანია , საუკუნეების მანძილზე ყველა მორწმუნე,ურწმუნო,მტერი,მოყვარე,მეზობელი იბრძოდა ჩვენი ქვეყნის განადგურებისთვის,მაგრამ ქართველებმა ყველაფერს გავუძელით ,ყ ველას გავუმაგრდით შევინახეთ ჩვენი დიდი წარსული , ლამაზი სამშობლო , ჩვენი მიწა-წყალი.ასე იყო საუკუნეების მანძილზე : დიდგორიდან ბახტრიონამდე , 9 აპრილიდან 2008 წლის აგვისტომდე .ისტორიის ჩარხი ტრიალებდა და წერდა :

პირველად საქართველო დამოუკიდებელი იყო 1918 წლის 26 მაისიდან , 1921 წლამდე . მტერი ვერ ისვენებდა და ეს დამოუკიდებლობაც წაგვართვა დიდმა რუსეთის სახელმწიფომ . სანატრელი დამოუკიდებლობა ისევ ოცნებად უქცეის ქართველ ხალხს.საქართველომ ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი სირთულე გაიარა , მოექცა

რუსული მარწუხების ქვეშ და საფრთხე შეექმნა ერს , მათ კულტურას, ენას , მშვიდობას. მინდა იცოდეთ, რომ იმ დროისთვის საქართველო რუსეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა და მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად, ქმნიდა სახელმწიფოს, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირი ერქვა , ხელმეორედ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა . მეორე მცდელობა დადასტურდა 1991 წლის 31 მარტს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენას სულ 3 მილიონ 295,5ათასმა ადამიანმა მისცა ხმა , პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეთურობით.

დამოუკიდებლობამ საქართველოს მისცა შანსი , თავი დაედო საბჭოთა წარსულის გავლენისთვის და დაეწყო ახალი , თავისუფალი ქვეყნის ჩამოყალიბება, თუმცა მხოლოდდამხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვება არ ნიშნავდა, იმას, რომ ხალხის აზროვნება მაშინვე განთავისუფლდა . საბჭოთა წარსული მძიმედ ჩარჩა საზოგადოების ცნობიერებაში ადამიანებს ჰქონდათ შიში , ეჭვი , თუმცა თავისუფლების აზრი ნელ-ნელა იწყებდა განვითარებას.

თავისუფლებამ იზეიმა , მაგრამ ამას მოჰყვა ძლიერი დაპირისპირება რუსეთის სახელმწიფოსთან, რომელიც დღესაც გრძელდება და სანაცვლოდ ორი ჩემი ულამაზესი კუთხე აფხაზეთი და სამაჩაბლო დასაბრუნებელია. არ ვიცი რომელი თაობის , ჩემი თუ კიდევ მომავალი თაობის დასაბრუნებელი დარჩება, მაგრამ როდესაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ვაკვირდები , წამი და წუთი არ არის ქართველი ხალხი, რომ არ იბრძოდეს დაკარგულის დასაბრუნებლად. სწორედ ამიტომ , საქართველომ აირჩია ევროპული გზა, რისკენაც ილტვოდა იგი დიდი ხნის განმავლობაში , რადგან ევროპა ნიშნავს დემოკრატიას , ადამიანების უფლებების დაცვას, კანონის წინაშე თანასწორობასა და თავისუფალი აზრის გამოხატვას , სწორედ ეს არის ის ღირებულებები, რომელთა მოსაპოვებლად ქართველები საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ. შეიძლება ითქვას , რომ ჩემი ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ევროპულ ღირებულებებს.

მინდა გითხრა, რომ მე , როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ამაყი ვარ უპირველეს ყოვლისა იმიტომ , რომ დავიბადე ქვეყანაში , რომელმაც მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ბევრი ტკივილი, უბედურება, სისხლის ღვრა გამოიარა და დღესაც მყარად დგას ფეხზე. თავისუფლება ჩვენ ქართველებს წინაპართაგან მოგვსდევს , რადგან ის ჩვენს გულებში მუდამ იყო , არის და იქნება.

და მაინც , ვინ ვართ ჩვენ დღეს? ერთი პატარა სახელმწიფო , დიდი გულითა და პატარა პატარა ჭრილობებით, კარგი წარსულითა და მომავლისთვის მებრძოლი ხალხით, რომელსაც ისტორია ანადგურებდა , ისევ შენდებოდა და დღესაც ქმნის ლამაზ მომავალს.

ძვირფასო მეგობარო , სასიამოვნო იქნება შენთან პირადად შეხვედრა, ვფიქრობ ეს მალე მოხდება ,მე გაჩვენებ ჩემი ქვეყნის ლამაზ ღირსშესანიშნაობებს, რომელიც აუცილებლად მოგეწონება.

ნახვამდის,მომავალ შეხვედრამდე...

პატივისცემით,შენი მეგობარი.

Hello, my European friend,

I am from Georgia, a Georgian by nationality, from a small country — but if you ever visit, you will surely fall in love with it: with its diverse landscapes, warm people, and rich history.

You might be curious about how we live, what kind of past we have, and what future we hope for. I was born in a free and independent country, and as I grew up and learned more about my homeland's history, I painted a picture in my mind: beautiful mountainous regions, valleys, seas, and rivers. Every corner of my country filled with colorful flowers, unique animals, and historical monuments.

But when I asked about Abkhazia and Samachablo (South Ossetia), they were no longer part of the picture — they had vanished. As my grandparents recall, Abkhazia and Samachablo were our roots — magical lands in every era, a true wonder for tourists with their blue lakes, green mountains, underground caves, and unmatched coastlines. I am certain that one day, we will see them again — and we will reclaim that beauty, which could rightfully be called a “wonder of the world.”

This is where I want to begin the story of Georgia's history — two of the most beautiful regions of my free and independent homeland are now occupied, currently under Russian control.

History's paths seem to have twisted, but still, I managed to understand what it meant for my country — and what the people of the world, including you, my unknown friend, should know.

My homeland, Georgia, is a country with a profound past and history. Many hardships have fallen upon this little nation of mine — so many enemies, so many disasters. For centuries, believers and non-believers, foes and neighbors all tried to destroy our land.

But we, the Georgian people, endured it all. We stood strong. We preserved our ancient legacy, our beautiful homeland, and our sacred land.

It has always been this way: from the battle of Didgori to Bakhtrioni, from April 9th to the August War of 2008.

The wheel of history kept turning and writing:

Georgia was first declared independent on May 26, 1918, until 1921. But the enemy did not rest, and even that independence was taken away by mighty Russia. That long-awaited independence once again turned into a dream for the Georgian people.

During that time, Georgia faced many hardships. It was caught in the grip of Russian control, and the nation — its culture, language, and peace — was placed under threat.

I want you to know that at that time, Georgia was part of Russia and, along with other allied republics, formed a state called the Union of Soviet Socialist Republics (USSR). After the Soviet Union collapsed, we regained our independence once again.

This second attempt was confirmed on March 31, 1991, when throughout the entire territory of Georgia, 3,295,500 people voted for the restoration of independence, under the leadership of President Zviad Gamsakhurdia. Independence gave Georgia the opportunity to escape from the influence of the Soviet past and begin forming a new, free country. However, simply gaining independence did not mean that people's way of thinking changed immediately.

The Soviet past remained deeply embedded in society's consciousness. People had fear and doubt, but little by little, the idea of freedom began to grow.

Freedom triumphed — but this was followed by serious conflict with Russia, which continues to this day. As a result, two of my country's most beautiful regions, Abkhazia and Samachablo, are still to be returned.

I don't know whether it will be my generation or the next that brings them back, but when I observe what is happening in my country, not a single moment passes when the Georgian people aren't fighting to reclaim what has been lost.

That is exactly why Georgia has chosen the European path — a path we have long been striving toward. Because Europe stands for democracy, the protection of human rights, equality before the law, and freedom of expression. These are the values that Georgians have fought for over centuries. It can truly be said that my country is step by step getting closer to European values.

I want to tell you that I, as a citizen of this country, am proud — first of all because I was born in a country that, throughout its entire existence, has endured great pain, misfortune, and bloodshed, and yet still stands strong today.

Freedom lives in us Georgians, because it has always existed in our hearts — it was there in the past, it is there now, and it will always remain.

And still, who are we today?

A small country, with a big heart and small wounds, with a proud past and a people who continue to fight for their future.

A nation that history tried to destroy, yet rebuilt itself again — and even today continues to build a beautiful tomorrow.

Dear friend, It would be a great pleasure to meet you in person. I hope that day comes soon.

I will show you the beautiful sights of my country, which I'm sure you will love.

Goodbye, until we meet again...

With respect, Your friend